

ტირაჟი 100



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

899-962-1

ფ-341

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბელნაწერის უფლებით


ფაჩულია თამარი

გურამ ასათიანის შემოქმედება

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა გ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი




თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – მიშველაძე რევაზ,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

- ოფიციალური ოპონენტები:
1. სიგუა სოსო,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)
 2. სარია ზეინაბ,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)



დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „30“ ნოემბრს „16“⁰⁰
სათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.C№5)
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.
ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის „17“ „ოქტომბრს“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

 /ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. სალიტერატურო კრიტიკამ რთული, საინტერესო, მრავალსაფეხურიანი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. კრიტიკული აზროვნების ფესვებს ჯერ კიდევ ძველ ქართულ მწერლობაში ვხედავთ, მაგრამ გამოკვეთილი პროფესიული სახე ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, თერგდალეულთა შემოქმედებაში მიიღო, 60-იანი წლები ქართული ლიტერატურის აღმავლობითაა ნიშანდობლივი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს მოქალაქეობრივი უფლებები მთი პოვა ქართულმა საზოგადოებრივმა და კრიტიკულმა აზროვნებამ. ფილოსოფიური მოტივები გარკვეულ ადგილს იკავებს, როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ, კრიტიკულ ნააზრევში, ვითარდება ე.წ. „მებრძოლი პუბლიცისტიკა“. თანდათან ყალიბდება მწყობრი კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ქართული მხატვრული აზროვნების წინარე მიღწევებს, აგერთვე თანამედროვე ფილოსოფიურ და ესთეტიკურ იდეალებს და თეორიულ საფუძველს უქმნის ქართულ კრიტიკულ რეალიზმს. სწორედ 60-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია გურამ ასათიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარებაში. მასში ერთმანეთს ძალდაუტანებლად შეერწყა კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე.

-1832-

განსწავლული, უტყუარი აღლოთი და მწერლური ნიჭით დაჯილდოებული, გემოვნებიანი კრიტიკოსის ინტერესების სფერო ძალზე ფართო იყო – კლასიკური მწერლობიდან თანამედროვე სალიტერატურო პროცესების უმწვავეს პრობლემებამდე.

გურამ ასათიანის – მკვლევრის ყურადღების ცენტრში იმთავითვე მოექცა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი მიმართულებანი და ქართველ კლასიკოსთა შემოქმედება. მე-19 საუკუნის მწერლობის შესწავლა-შეფასებამ ბუნებრივად მოითხოვა წინარე ეპოქის ტრადიციების გათვალისწინება, მე-17-18 ს.ს. მწერლობის ანალიზი და სათავეთა სათავის – „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროს წვდომა. ასე შეიქმნა ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომი